სანოტარო აქტი

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის პირველ ოქტომბერს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქუჩა № 16 მომმართა დათო ყიფშიძემ. მან განაცხადა, რომ არის შპს „დიდი დიღომი“-ის (ს/კ №405132663) დირექტორი და სურს ირაკლი მაზიაშვილის მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დათო ყიფშიძემ (დაბ.25.06.1986წელს, ჭიათურა, პირადი # 54001019293, რეგ. მისამართზე: ჭიათურა ს. ნავარძეთი მე–17 ქ. N 1) მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, დათო ყიფშიძე, როგორც შპს „დიდი დიღომი“-ის (ს/კ №405132663) დირექტორი, შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც “მიმნდობი პირი”, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ ირაკლი მაზიაშვილს (დაბ.01.05.1986წელს, თბილისი, პირადი # 01024039393) შემდგომში – “მინდობილ პირს”: მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი შპს „დიდი დიღომი“-ის (ს/კ №405132663) კუთვნილ ნებისმიერ სახის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიაში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, ყველა საჯარო ინსტანციაში, გამგეობაში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საამზომველო ფირმებში, ზედამხედველობის სამსახურში, თვითმმართველობის ორგანოებში, მერიის არქიტექტურულ სამსახურში, რათა მიიღოს უძრავი ქონების მშენებლობის/ექსპლუატაციაში ჩაშვების ნებართვა, შეათანხმოს პროექტი, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს ჩემი ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოამზადოს/შეიტანოს/გამოიტანოს სამშენებლო პროექტი, მოახდინოს ფართების დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული ნაწილის მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან, ასევე მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი სს „თელასი“-ში, წყალკანალში, კომპანია შპს „ყაზტრანსგაზი“-ში, შპს „სოკარ გაზის „ ნებისმიერ ფილიალში, თბილისის წყალკანალში და სხვა ნებისმიერ საკომუნიკაციო ორგანიზაციაში. ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, და სხვა დოკუმენტი ან მისი დუბლიკატი, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, დაკავშირებული მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

შპს „დიდი დიღომი“-ის (ს/კ №405132663) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე - 10 (ათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

დათო ყიფშიძე

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

39568492949819

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191200928

რეგისტრაციის თარიღი

01.10.2019 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18